


თბილისის მემკვიდრე.

№ 51

1920 წ.
ნოემბრის 28



ნეტა ვინ აჯობებს,
 არ ვიცი ვინ ვაქო:
 ლენინის აზრუმი სურს
 ქემალს უნდა ბაქო!

ლადოს ხსოვნას

„ბოლოს შეყვარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი“.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებს არ სჩვევია გლოვა და ცრემლები.

მაგრამ დღეს ამ სიცილის სამეფოში მოულოდნელად შემოიჭრა დაუძინებელი მტერი—ტირილი—და უბრძოლველად დიპყრო მისი პირველი ფურცელი.

და აი, იმათ, ვინც ყოველსავე მწუხარებასა და უბედურებას ღიმილით ხედებიან და ღიმილითვე ებრძვიან, დღეს თავის თავს უღალატეს:

— ველარ „დაუცავთ სტილი“ და თავადაც ცრემლებსა ჰღვრიან სხვებთან ერთად.

—

სამშაბათ საღამოს ჩვენ წინ გვედო ძვირფასი ლადოს შარკი და ამ ნომრისთვის ვამზადდებით.

და სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ ფიქრობდით უწყინარის ღიმილით მეგობრულად დაგვეცინა ლადოსთვის, ჩვენზე დაუნდობელი და ძლიერი იუმორისტი, სიკვდილი, თურმე ფეხაკრფით ეპარებოდა მას.

ჩვენ მხოლოდ ლადოს ვუბირებდით ტკბილად და მეგობრულად დაცინვას.

სიკვდილმა კი მწარედ დასცინა მთელს საქართველოს.

ჩვენ გვინდოდა ყველასათვის საამო და სასაცილო შარკი მოგვეთავსებია ჩვენს ჟურნალში.

სიკვდილმა კი ყველასათვის საზარელი და გულმოსაკლავი შარკი დაამზადა:

— უსულო ლადო! მკვდარი ლადო!

განა შესაძლოა, მართლა, წარმოვიდგინოთ უსიცოცხლო ლადოზე უფრო გულმოსაკლავი და საზარელი რამ?

კაცი, რომელსაც ათასი სხვა და სხვა გვარი სიცოცხლე გადაუშლია ჩვენ თვალ-წინ დღეს თვით სიცოცხლეს მოკლებულია!

უსულო გახდა ის, ვისაც ათასი კაცის მრავალ-ფეროვანი სული განუხორციელებია თავის არსებაში!

—

როდესაც ყველას თვალეები და ყურადღება ძვირფას ცხედრისა და ღია საფლავისკენაა მიპყრობილი, განსვენებულის ღეაწლსა და დამსახურებაზე ლაპარაკი ძნელია. ამას არც ჰფიქრობს ვინმე.

მაგრამ ამ სტრიქონების დამწერის მხრივ უმადურობა იქნებოდა, სწორედ ახლა, სანამ ლადოს საფლავი ჯერ კიდევ არ დახურულა, მხურვალე მადლობა არ ჩასძახოს შიგ იმ დაუეიწყარ წუთებისთვის, რომელიც ლადომ არგუნა მას და მრავალს მასთან ერთად ყველაზე უფრო აუტანელსა და უსიხარულო დროს მათის ცხოვრებისა.

ეს ის დრო იყო, როცა ჩვენ პატარა მოწაფეები ვიყავით და ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში ვსწავლობდით.

ეს იყო დრო „დიდაკა“ კრავცოვებისა, „ვოსპიტატელ“ ლაბენსკებისა, მასწავლებელ მაშურკოებისა .. ერთი სიტყვით—დრო ქართველ მოწაფეთა ცრემლებისა.

ჯერ კიდევ ყველას ახსოვს, რა იყო მაშინდელი რუსული სკოლა „ტუზემცებისათვის“.

— Повтори: я—русский, я—русский, я—русский!

— Я—русский, я—русский, я—русский — იმეორებდა სულიერათ დამონებული პატარა ქართველი მოწაფე.

ასეთი სული ტრიალებდა იმ პანსიონშიც, სადაც ჩვენ ვიზრდებოდით, ან უკეთ რომ ვსთქვათ სადაც ჩვენ ვიყავით დაპატიმრებული, ვინაიდან მე არც ერთ მაშინდელ საპყრობილეში არ წარმომიდგენია ისეთი ზნეობრივი და სულიერი დამცირება როგორც იქ იყო.

ჩვენი პატარა გულბებიც ისე იყო დახშული და დაკეტილი, როგორც ჩვენი პანსიონის კედლები.

სკოლაში ჩვენ არ გაგვაჩნდა არცერთი მფარველი, არცერთი მოყვარული აღმზრდელი და ყველა მასწავლებელს მტრულად შეგყურებდით ქვეშიდან, რადგან ისინიც მტრულად დაგვეყურებდენ ზევიდან.

ძნელი იყო ჩვენი მაშინდელი ცხოვრება.

პირადათ მე გიმნაზიაში გატარებული წლები გავლილ ცხოვრების ყველაზე მძიმე დროებათ მიმაჩნია.

და აი, ამ დროს, ჩვენს მოკუბრულ ცაზე იელვა ბრწყინვალე ვარსკვლავმა.

ეს ვარსკვლავი იყო ლადო მესხიშვილი.

მან გვაზიარა პირველად ხელოვნების ნამდვილ წყაროს.

მან შეგვაყვარა ის, რაც სკოლაში უნდა შეეყვარებინათ ჩვენთვის და გვაძულეზდენ კი.

ლადო გახდა ჩვენი კერა, ხოლო ქართული წარმოდგენა ლადოს მონაწილეობით ნამდვილი სიხარული, სიხარულს მოწყურებულ ბავშვებისათვის. რამდენი კრემლი —ლადოს მიერ დახატულ გამირთათვის!

მაგრამ ეს ცრემლები არ ჰგავდა გიმნაზიის ცრემლებს.

რამდენი უძილო ღამე—ლადოს წარმოდგენების შემდეგ!

ეს უძილო ღამეებიც არ ჰგავდა პანსიონის სხვა უძილო ღამეებს!..

ყველა მოწაფე თავის საამაყო მოვალეობათ სთვლიდა, ქუჩაში ლადოსთვის საღამის მიცემას.

Handwritten note in red ink:
დაეწინააღმდეგებოდნენ

— დღეს ლადო მესხიშვილი შემხვდა! შემომხედა, ბიჭო! ქული მომინდა!

ეს ხომ უბედნიერესი დღე იყო!.. ლადომაც იცოდა ჩვენი მოპყრობა.

მარტო მისი შემოხედვა რად გვიღირდა!

ისე მოგვეფერებოდა და დაგვიყვავებდა თვისი მშვენიერი თვალებით, თითქოს გულში ჩაგებუტებინეთ და თავზე ხელი მოესვას...

ლადო მესხიშვილმა გაუჩინა ჩვენს უფერულ ცხოვრებას აზრი და მიზანი..

ამისთვის ვაწუხებ ჩემი საყვარელი ლადოს ძვირფას ცხედარს და უღარესი მადლობის გრძობით მუხლს ვიდრეკ მის წინაშე.

ეს მადლობა მიიღოს მან იმ პატარა მოწაფი-

სკან, რომლის გული და სული დაიპყრო იმ დროს და სიხარულით აუცსო...

და მის მაშინდელ ამხანაგებისაგან.

პატარებმა იციან ცნობა და დაფასება ღიდი ნიქისა!

„აღგიარებ შენ უფალო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და შეცნიერთა და გამოუტხადე ჩჩვილთაო“, ამბობდა ქრისტე.

მართალია, ლადოს ნიქი „ბრძენთა და მცენიერთათვისაც გამოცხადებულია“, მაგრამ ისეთი სიყვარული და პატივისცემა, როგორც ჩვენ გვიყვარდა ლადო და პატივს ვცემდით მას, მხოლოდ „ჩჩვილთ“ შეუძლიათ.

შალვა შარაშიძე.

ომის ამბები.

წვერილი II

VI. მანიფესტი.

ჩვენი მოლოდინი სავსებით გამართლდა. ნათლად გამოირკვა, რომ ფუტურისტების ბელადს, პაოლო იაშვილს, სრულიდაც არ უნდოდა თამარ მეფე ცოლად, გამოირკვა რომ ის კაროენითაც სრულიად კმაყოფილი იქნებოდა, რომ ეს ქამანდა მან ვითომ „სიგიჟით“ გადმოისროლა, ხოლო ნამდვილათ კი ფუტურისტებს ჩვენთან ომის ატეხა უნდოდათ.

ფუტურისტები, ანუ ქართულად ყანწისტები პოეზიის ბოლშევიკები არიან. ეს აშკარათ სჩანს მათი ე. ი. ბოლშევიკებისა და ყანწისტების ურთიერთ განწყობილებიდან და იმ ისტორიულ მსგავსებიდან, რომელზედაც ქვევით მოგახსენებთ.

როგორც ბოლშევიკებს „ბათუმის გაყიდვის“ მომიზეზებით საქართველოსთან ჩხუბის ატეხა უნდათ, ასევე ფუტურისტებმა თამარის მითხოვების მომიზეზებით საბაზი იშოვნეს ჩვენთან ომის გამოცხადებისა და საქმარისი იყო ჩვენი სრულიად ზრდილობიანი კილოთი გამოთქმული ჟარი, რომ ფუტურეთი ყალბზე დამდგარიყო.

ტიციან I (ტაბიქემ) მყისვე გამოსცა მანიფესტი, სადაც სხვათა შორის ამბობს:

„მალარმე და კანტი დაარბევენ მონგოლეთის ჩალმებს—(იგულისხმეთ „ეშმაკის მათრახი“) ახალი ვიზონერობა გაურღმავებს მათ ვიწრო თვალებს; როგორც სალმანასარი გათარს აზიაში რობესპიერი და ჩამავალ მზეზე გაბრწყინდებიან გილიოტინები“.

მკითხველი მშვენიერათ ხედავს, თუ ვისზე ამყარებენ თავის იმედებს ჩვენთან ბრძოლაში ადგილობრივი ფუტურისტები! როგორც ადგილობრივი კომუნისტები, ისინიც გარეშე ძალაზე ეყრდნობიან. ისინი უხმობენ დასახმარებლად მალარმეს, კანტს, რობესპიერს. ისინი აპირობენ ჩვენთან ბრძოლას გილიოტინებით.

მანიფესტი, ცხადია, მობილიზაციის ნიშნათ უნდა ვიგულისხმეთ.

VII. მტრის ოინები.

როგორც მანიფესტიდან დაინახავთ, ჩვენდა თვალის ასახვევით ფუტურისტები თითქო მონგოლებთან საომრად ირაზმებიან, რათა მუსრი გაავლონ იმათ ჩალმებს.

ამ ოინბაზობის დასამალოავთ, ერთი ბელადთაგანი, ნიკოლოზ მიწიშვილი სწერს:

„ჩვენი სიძლიერე იმაშია არის, რომ ჩვენი ბერკადა*), რომელზედაც ავმართეთ ნათელი ჯვარი პოეზიის მართლმადიდებლობისა ერთი თავით ებჯინება ტიბეტს, ხოლო მეორეთი პარიზს“.

იგივე დიპლომატი, ცოტა ქვევით, კიდევ უფრო ხლართავს საკითხს და ცდილობს საბოლოოთ აგვიბნოს დავთარი ის სწერს:

„ჩვენ აქ (საქართველოში) ვეძებთ მტრებს და ვერ ვპოულობთ. ხშირათ კიდევაც ვქმნით ასეთებს და როგორც ღონკიხოტები ვებრძვით ქარის წისკვილებს. შეიძლება ეს იყოს ჩვენი ირონია საქართველოზე და საკუთარ თავზედაც“.

ხედავთ სად ეუბნებიან! რა შორს გადაუკრეს?.. ვერ მოგვატყუებთ!

აი ჩვენი პასუხი ამ ოინებზე. ქარის წისკვილებთან ბრძოლით ფონს ვერ გახვალთ, მოწყალენო ხელმწიფენო, და ირონიასთან ბრძოლას ამ ერთი ინციდენტით ვერ გაათავებთ.

ჩვენ პირველ წერილშივე (იხ. „ეშმაკის მათრახი“ № 49) აღვნიშნეთ, რომ თავს არავის ვესხმით. დღესაც ამავეს ვიმეორებთ და დავსძენთ, რომ ჩვენი ომი თავდაცვითი ომია. ამიტომაც ფუტურისტების სიტყვიერ განცხადებებს ჩვენ ვერ დავეყრდნობით. ჩვენ რასაკვირველია მოხარული ვიქნებით, თუ ისინი მართლა მართლმადიდებლური ექსტაზით არიან აღჭურვილნი და მონგოლეთის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომს აწარმოებენ ჩალმე-

*) ფუტურისტები თავიანთ ორგანოს შეცდომით „ბარკიკადს“ ეძახიან და არა ბერკიკადს.

ბის შესამუსრადავად, მაგრამ ამასთან ერთად ნურას უკაცრავად თუ ჩვენ მზათ ვიყოთ საჭირო დროს წინააღმდეგობის გასაწევნათაც, უკეთუ მუხანათი მტერი მოიგუნებებს და თავს დაგვესხმის.

ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ უტყუარ გარანტიას და არა უბრალო დიპლომატიურ ქამანდებზე აგებული სიტყვებს.

VIII. თივაში ცეცხლი..

ჩვენი მოსისხლე მტრები, ფუტურისტები, მუდამ თავის „ცეცხლზე“ გაპატივიან და ის კი დაავიწყდათ, რომ თივაში ცეცხლი არ დაიძლია... არ დაიძლია ეხლაც.

როგორც მოგახსენეთ, ტიციან I-ის (ტაბიძის) მანიფესტი ნიშანი იყო მობილიზაციისა, რომელსაც ფუტურისტები, როგორც სირაქლემო თავს, მალავდენ.

მაგრამ აი ცნობილი გიორგი ლეონიძე, (არაფერი ნათესავი არ არის „სამშობლოში“ მომქმედი ლეონიძისა) ააშკარავებს თავისიანების ზრახვებს და „ბერიკადების“ მესამე ნომერში სწერს:

„გრიგოლ რობაქიძე, რომელიც არის დროშა და მხედართმთავარი, ყუმბარასავით გასკდება...“

აქედან ცხადათ სჩანს, რომ მტერს უკვე მთავარსარდალიც აურჩევია და აურჩევია ისეთი, რომელიც „ყუმბარასავით გასკდება“. ჩვენ ეს ოდნავაც არ გვაფიქრებს, ვინაიდან თუ გასახეთქია, ის მტრის ბანაკშივე გასკდება.

ეს კიდევ ცოტაა! „ბერიკადების“ იმავე მესამე ნომერში, ვილაც უსახელო ავტორი მოწინავე წერილისა შემდეგ საგულესხმიერო სიტყვებსა სწერს:

„თავდადებულ გვარდიას და გაპარჯებებით შემოსილ ჯარს წინ გაუძღვება (ფუტურისტ) პოეტთა ძახილი—ტრაპიზონში უსათუოდ!“

ტრაპიზონი აქ თვალის ასახვევით არის ნახშიარი, მაგრამ ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა მტრის ორგანიზაციას აქვს. როგორც ეტყობა „ყანწისტები“ (ფუტურისტები) ორგანიზაციის სამხედრო ორგანიზაციის მომხრე ყოფილან: გვარდიის და რეგულიარული ჯარისა. ამ ცნობას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მტრის ორგანიზაციის გაგება თითქმის ნახევარ გამარჯვებას უდრის.

IX მთავარი „გვარდიელები“

„გაიციან მტერი და გამარჯვება შენია!“ სიტყვა ერთმა საშენდრო გენიოსმა.

სრული ქეშმარიტებაა.

ჩვენს წინაშე სძევს საუცხოვო დოკუმენტი ჩვენი დაუქინებელი მტრის მთავარ-მთავარ გვარდიელთა შესახებ. დოკუმენტს ხელს აწერს ფუტურისტთა შორის საკმაოდ ცნობილი ტრისტან მაჩაველი და მოთავსებულია იგი მტრის ოფიციალურ „ბერიკადების“ მესამე ნომერში. მოგვყავს ეს იმუნიათი დოკუმენტი სიტყვა-სიტყვით.

„გრიგოლ რობაქიძე. უძილო ღამეში ფიქრობს. მის წინაშე ფეხშიშველა 1) რითმები დაბრინან. მას ელანდება სააკაძე 2) ლექსებს მარმარილოს ტილოზე სწერს. ხმა მალდა იმეორებს სიტყვებს, თითქოს საცერში სტრისო. 3) მზე რა ამოვა გადისურავს საბანს. მის აივანზე ვილაც დადის. იქნება ეს ქინკა არის.“

პაოლო იაშვილი. ქიმიკონში ზის. ტუჩებს ენით ისწორებს. ლექსებს სწერს, როცა ჰაერი აღუღებულია. კალმისტარი და მელანი 5) უფრო აღელვებს, ვიდრე ფანქარი. შეიძლება გენიოსია შეიძლება უბრალო მოშიარე. დაუღალავი აქტიორია და რაპოდენიმეთ ნეკრონიც არის.“

ტიციან ტაბიძე. ორსული ქალივით ქირვეულია. არავინ იცის როდის სწერს ლექსებს. ხელი ღამაზი აქვს. ერთხელ მის ბინაზე არჩილ მიქაძეს შარვალი და სათვალეები დაეკარგა. გრძელი თითები აქვს 6).

კოლაუ ნადირაძე. კარი გაღებული აქვს. მას ზამთარი უფრო ახელვებს, ვიდრე ზაფხული. ლექსებს სწერს ბლუზაში, დახეულ ფეხსაცმელებში პაემანის შემდეგ. გახეთებს არ კითხულობს. 7) მის მაგიდაზე არის შუშა და შუშაში მკედარი ბავშვი. მის ოთახში ავრეთვე ბევრი თოფებია.“

სანდრო ცირეკიძე. მისი სახლი რიონის პირად სდგას. კედელზე მაღარმქსი და მისი მამის სურათები უკიდია აწუხებს ურიების მეზობლობა. ყავს წითელი ძაღლი, რომელიც მუდამ უყუფს ვალერიან გაფრინდაშვილს. მის ეზოში ერთხელ დედალმა დაიყოლია. სანდრომ დედალი დააკვლევინა, შესწვა და შესქამა. სწერს ნაშუადღევს და ჰვავს ბელურას.“

ვალერიან გაფრინდაშვილი. წვიმიან დღეში არა სწერს. ლექსის დაწერისათვის სჭირდება სითბო. თუ ღამეა სარკეს გადააბრუნებს, რომ ორეულმა არ შეაშინოს. ლექსის გათავებას დილისთვის გადასდებს ხოლომე

ლელი ჯაფარიძე. ლექსებს სწერს ან ქალაქში, ან სოფლად, ან სხვაგან სადმე. კარგი ლექსის დაწერა არაფრად უღირს. თუ უშუალოა და მისი ცხვირი არ მოსჩანს ლექსის წერას ქუჩაში იწყებს და სამზარეულოში ათავებს.

1) ცხადია მარტო ნაბჭოთა ჯარები არ ყოფილა ფეხშიშველი! 2) ოჰო! 3) ცხადია რობაქიძის წინაპრები მეფურნეები ყოფილან. მაგრამ ეს მომარაგების მინისტრი მუდამ უსაცერობას წუწუნებს და თუ ეს მართალია რისთვის არ ჩამოართმევს ყანწისტებს ამ საცრებს?

4) უხმება მტრის ცეცხლისაგან. 5) მელანი აღბათ დენის აგონებს. 6) მტრადრე ხალკოვი და შუა თითი. 7) ცხადია გარდა „ბერიკადისა“.

Handwritten notes in red ink at the bottom of the page, including the name 'მთავარი' and some illegible scribbles.

აი დაახლოვებით მოკლე შინაარსი იმ დოკუმენტისა, რომელზედაც ხელი ტრისტან მაჩაბელს უწერია და რომელშიაც დასურათხატებულია უმთავრესი გვარდიელი ყანწისტებისა.

ჩვენმა ვონტარაზედკამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორ გარემოებას:

ა) რა დანიშნულება აქვს იმ შუშას, კოლაუ ნადირაძის საწერ მაგიდაზე, რომელშიაც მკვდარი ბავშვი სძევს და

ბ) რა გავლენა იქონია სანდრო ცირეკიძეზე იმ მყივანა დედალმა, რომელიც მან დააკვლევინა და შესქამა.

საინტერესოა აგრეთვე რისთვის უყუფეს სანდრო ცირეკიძის წითელი ძაღლი ვალერიან გაფრინდაშვილს და ვინ მოიპარა ტიციან ტაბიძის ბინაზე (ვარდისუბანის ქუჩა) არჩილ მიქაძის შარვალი და სათვალეები. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით პაოლო იაშვილის მიერ ენით ტუჩების სწორების შესახებ.

ერთი სიტყვით ცოტად თუ ბევრად ჩვენ ვიცით ვისთან გვაქვს საქმე და რას წარმოადგენს ის „გვარდია“ რომლითაც „ყანწისტები“ თითქო ტრაპიზონის აღებას ებირებიან. და ნამდვილათ კი ჩვენს წინააღმდეგ ირაზმებიან.

ისტორიკოსი.

(შემდეგი იქნება).

ღუეღი ვილსონთან *)

ვინც ხმელეთის ოქროს კალო მის ხულაში დაიგროვავა,
ვისაც იცავს დედა მიწის
მეგახშეთა მთელი ხროვა;
ვინაც კერძო ჯიბის გარდა
ინტერესს და საქმეს არ ცავს,
ვინაც თმის და წვერის გარდა
ფლავაშებსაც კი იპარცავს...
ქართველისთვის სირცხვილია
ამგვარ გმირებს შეებრძოლოს,
მაგრამ მაინც დუელს ვითხოვ,
ველარ ვითმენ შე ამ ბოლოს.
მისტერ ვილსონ! „თორმეტ მუხლში“
წვრილმა ერმა ნახა ბინა ..
(თქვენ საცნობად რაკი გავხდით
ღმერთმა ისე წაგვახდინა)
მოიგონეთ რუსეთისთვის
ბოლონდელი თქვენი ნოტა,
ძველ ფარგლებში მის აღდგენის
იაღლიში კი ხარო ცოტა!
ნუ თუ ასე დაგავიწყდათ
რაც დაჰპირდი ამ წვრილ ერებს?

*) ავტორისა და მკითხველის საყურადღებოდ ეაცხადებთ, რომ ეს ლექსი რედაქციამ 17 ნოემბერს მიიღო და უფრო ადრე არ შეეძლო დაებეჭდა.

ნუ თუ თქვენი ბრძნული სიტყვა
საქმეს აღარ შეიფერებს?
სომხეთი თუ კი იცანი
ქართლმა რალა დააშავა?
სირცხვილი და უმართლობა
ამას იქით სადღა დააშავა?
შეძლება პრეზიდენტმა
ისტორია არ იცოდეს,
კოლუმბი რო მის წინაპრებს
ქამანდებით სდევდა ოდეს.
ამერიკის ულრან ტყეში
კოლუმბი რომ გზას ვერ იგნებს,
მაშინ ჩვენი ვახტანგ მეფე
კანონების სწერდა წიგნებს.
მეცნიერთა მეცნიერმა
ამერიკა რომ მონახა,
მაშინ ყოფნა ჩვენმა ერმა
თამარ-მეფით გამოსახა.
დღეს რომ გვეჯობნით, მომავალში
ვერ გაიტანთ ამით ლელოს.
და წარსულზე თქვენს მეგობარს,
ჰკითხეთ თუ გინ უ ვენიზელოს.
თორნიკე და მისი ჯარი
ქართველთ ზნე და სულის ჯიში;
(დაწვრილებით შეგიძლიათ
რომ მიიღოთ ანგარიში)

ერეკლე და სააკაძე
მურმან ყრუ და შახაბაზი;
ფიდრის პირველს თუ ენდობით
არ გახრილა ბრძოლის ხაზი.
ამის შემდეგ ჩვენმა ერმა
რაც წამება გადიტანა,
და დღეს კიდევ რალაც ძალით
ხალხის არის ეს ქვეყანა.
და ვილსონმა ყველა აგი
ვერ შეიტყო დღემდის განა?
ცნობის ღირსად არ ჩასთვალოს
კაცმა ხალხი ამისთანა?
მარა ჩვენში წითელ დროშას,
ველარ ბურავს ძაძა-ფლასი.
ქვეყნის ბატონ პატრონია
მშრომელი და მუშა კლასი.
მარა კარგი, ყველაფერს რომ
ამას თავი დავანებოთ,
და ეს ხალხი თქვენებურა
ტკბილი სიტყვით გამოვკვებოთ—
ჩიჩერინს თუ ქართველების
არსებობა მტკიცეთ სჯერა,
ჩვენს ეროვნულ განმტკიცებას
თავის ხელი მოაწერა—
მთელი ერის ბედის წერა
რა ნება გაქვთ თქვენ წაშალოთ?
ძველთა ძველსა ხალხს და ქართველს
გარუსება დაგვაძალოთ?

ისტორიამ რაც გვარგუნა
 თქვენ საქვოდ გავიხადე.
 ამას ისე ვერ შეგარჩენ
 თუ დუელში არა გცადე.
 თუმც მუშტიოაც კაროლი ხარ,
 იგი მეც ქე შევისწავლე.
 როცა თქვენი „ნიორკიდან“

მექსიკამდე ცხენით განვლე.
 ვადად ვნიშნავ პირველ მისს,
 ქალაქ ლონდონს ბრძოლის ველად,
 სეკუნდ-ნტით ტომას შოუს
 ბრძოლის წესის დასაცველად.

ბუტუნა



„უპლატენიე“

დილოცა ღმერთო! შენი სამართალი!.. თურ-
 მე ყველაფერს გაიგონებს კაცის უკური!..

კაცო, ხალხნო, გესმით რა ამბავია?! გესმით
 ეს რა „ეტორი პრისესტია“ ჩვენ თავზე?!.

ანბობენ, როგორც ბალშევიკებმა მოახდინეს
 რუსეთში „უპლატენიე“, ისე ჩვენ პრავიტელ-
 სტვასაც უნდა რომ აქაც შამოილოსო!!!

ახლა არ იტყვიოთ რა არის ეს „უპლატენიე“
 თურმე კვარტირები რომ ბევრი არ დაგპირდეს
 და შეშაც არ დაგეხარჯოს, აიღებენ და შამოგი-
 ყრიან ოთახში: ყველა ვიგინდარას, ქუჩის მაწან-
 წალას, თათარს, ურიას, სომეხს, ქართველს, ლე-
 მენს, ქალს, კაცს, ახალგაზდას, საკალბასე ბე-
 ბერს... ერთი სიტყვით ყველას დომხალივით აუ-
 რევენ, რომ რაც ბევრი იქნებით ერთად სარდნიკა
 სავით ჩაწყობილიო, უფრო გათბებითო და კვარ-
 ტირაც და შეშაც ცოტა მოგინდებათო!

ვა, ვა, ვა, ვა!.. აფსუს ღროვებავ, აფსუს რო-
 გორ ჩატილდა საქმე!.. კაცო, რის კვარტირაო,
 რის გათბობაო, რის „უპლატენიეო?!.“ როგორ
 ჩემ დედა-კაცს ვის მიჯყენებ გვერდში საუპლატ-
 ნენიოთ, ხომ არ გავიყვით ხალხნო?!. ესა თავე-
 სუფლეა, ესა სლაბოდნობა, რომ კურომოზგრე-
 ბივით ერთმანეთში ავირიოთ?!. აფსუს კეკელ,
 თურმე იმისთვის მიზელია დუხ-ლადიკალონებით,
 რომ ვიდაც ვიგინდარას შევაწუხებო საუპლატ-
 ნენიოთ!.. მაშა, მაშა!.. სულ მაგ ქევაზე დავდი-
 ვარ რადა! მაშ მე ვირი ვყოფილვარ, მაშ მე ტვი-
 ნის ვასპალენიე მქონია და ვეღარა გავიგია რა!..
 არა, არა, ეგრე არა სწირავს ჩვენი ტერ-მიკია!
 თუ არა და ჩემ დედაკაცს რა აქვს საუპლატენ-
 ნიო?!. მე შენ გითხრა ზოგიერთი ქალებივით სკე-

ლეტია აი! არა, ის ძალიან პლოტნი მყავს და
 არავის ვეხვეწები იმის კიდევ უფრო გაპლოტნე-
 ბას. დედაკაცს შეხედო ბრანჩოვანი პოეზიდი გე-
 გონება. თითო იმისი წვივი სულ სლაბოდნათ ეყო-
 ჟა მელიქ-ნაზარანცის შენობას სტოლბათ რომ
 შაუყენო და ნეუყელი იმას კიდევ პლოტნობა
 სქირდება?!. არ ვაცო... რას ფიქრობს ეს ჩვენი
 პრავიტელსტვა! ესა, კაცო, სლაბოდნობა, ესა
 ხელს ვერავან გახლებსო?!. ხელის ხლება კიდევ
 ჯანაბას, ნიჩავო, პუტიაკ... საქმე ის არის რომ
 უფრო გლუბოკათ მიდიან და!.. გინდა თუ არა
 ქვეყანა უნდა მოგვიწვინოთ რომ გათბეთო!..

კაცო, როდის შამოგივალეთ რომ შეშა
 გამომიგზანეთ მეთქი, როდის შეგვეხვეწეთ რომ
 გამათბეთ მეთქი! ჰო... ეს ზაკონი რომ ჩემ ხლა-
 სტოვობაში გამოსულიყო კიდევ ჯანაბას, მაგრამ
 ეხლა, როცა სამი თვეა ჯვარი დამიწვრია, ჯერ
 სიყვარულის ლუბოვი არ გავიოთავებია. მამა უც-
 ხონდებთ მაგ ქევაზე ვარ რადა! ვაი აფსუს გეურქ!
 არა ძმაო, მე ჩემთვის სახლიცა მაქვს, შეშაცა მაქვს,
 პლოტნიცა ვარ, ჩაპლოტნებული დედაკაციცა
 მყავს და არავის ვეხვეწები ჩემს პაკრავიტელო-
 ბას!..

გოგია



დ ე ზ ე რ ტ ი რ ე ბ ი

ხშირათ ისეთი აღმიანი გილაატებს ხოლმე ვისგანაც არაფერს ამისდაგვარს არ მოელი.

ასე მოუვიდა სახალხო გვარდის ბათომის შტაბს.

ვინ არ იცის თუ რა ძნელი შესადგენია გვარდია. ათ ჯერ უნდა გაზომო და ასწონო ესა თუ ის პიროვნება, სანამ მას გვარდიაში მიიღებდე. გეშინია ვაი თუ არ გამოდგეს გვარდიელობის ღირსი და შეგვარცხვინოსო.

უნდა ვსთქვა მართალი, რომ ბათომის შტაბი მუდამ ხელმძღვანელობდა ამ საღ მოსაზრებით და ამიტომ მეც შტაბთან ერთად დარწმუნებული ვიყავი, რომ ბათომის შტაბს დეზერტირი არ ეყოლებოდა.

ყოველ შემთხვევისათვის, გული რო დამემშვიდებია მესამე დღეს ათი დღის ვარჯიშობის აღლუმის გამოცხადების შემდეგ ვეწვიე შტაბს ინტერვიუს გასაკეთებლათ.

წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ლადი დოლბაია, შტაბის თავმჯდომარე, მეტათ მოწყენილი იყო. ვიკტორ ქედია კი მეტათ აჩქარებით იძლეოდა სხვა და სხვა განკარგულებას, ეტყობოდა რაღაც უსიამოვნოთ იყო, მაგრამ „გარეშე“ თვალისთვის მალავდა ამ უსიამოვნებას.

— რამ მოგაწყინათ, ბ-ნო ლადი! მივმართე მე თავმჯდომარეს ჩვეულებრივ ზრდილობიანათ. დარწმუნებული ვარ ვარჯიშობა კარგათ მიდის და დეზერტირი არ აღმოჩენილა.

ლადიმ ჩვეულებრივი ჩუმი შემპარავი ღიმიით ჩაიციხა ულვაშებში; დაუკვირვებელი კაცი ვერც მიხვდებოდა. მე კი კარგათ მაქვს შესწავლილი ლადის ღიმილი და მაშინვე ვიგრძენ, რომ რაღაც უსიამოვნოს მეტყობა.

— ვარჯიშობა კარგათ მიდის ბატონი გრიგოლი—დაიწყო მეგრულათ ლადიმ, მაგრამ ლალიატს სადაც არ მოველიოდი იქ ვნახეთ.

— როგორ, ნუ თუ დეზერტირები აღმოჩნდა ბათომის გვარდიაში?

— არა, იგი თუ გინდა ქალია, მაგრამ...

— როგორ, თქვენ ქალიც გყავთ გვარდიაში?!

— როგორ არა: მის სწოულდენი და გიუსმანის ქალიშვილი. ორი ქალი გყავს და ორივე დეზერტირებია, არ გამოცხადნენ ვარჯიშობაზე.

— ქალები არაფერია, ჩემო ლადი, კაცები თუ კი არ დეზერტირობენ.

— კაცებიც აბა!

— მერე და როგორ მოგვივინდათ ასეთი საქმე. აკი მიღებისას ისე ფრთხილათ ეპყრობით საქმეს.

— რა სიფრთხილე გვინდოდა, ჩემო გრიგოლი! ყველა გამოჩენილი სოციალისტიებია, გიუსმანის ინტრაციონალის მდივანია.

— გიუსმანსიც ჩაეწერა გვარდიაში?

— ყველა, კაცო, სულ ყველა: ვანდერველდე, დე-ბრუკერი, მაკონალდი, შოუ, ინგელსი, რენოდელი... ყველამ დიდი სიამოვნებით მიიკრა გულზე გვარდიელის ნიშანი და ახლა ათი დღის ვარჯიშობა რომ გამოცხადდეთ ყველა გაიპარა.

— კი მარა, კაცო, ვანდერველდე უკვე მოხუცია...


— შენგან არ მიკვირს, გრიზა ჩემო! გაცხარებით შემომიტია ვიკტორ ქედია და დათიკო კუნჭულიამ ერთად ხომ ნახე ამას წინეთ „ემმაკის მათრახში“ კაუტკის სურათი! სულ იარაღში იჯდა.

— არა, პარტიის მანდატიც რომ არ წარმოუდგენიათ? ჩაილაპარაკა მდივანმა. ვინ აგებს ახლა მათ მაგიერ პასუხს?

— უნდა მივსცეთ სავლელე სამართალში, შემოვიდა წინადადება და უნებლიეთ დაწყებული ლაპარაკი სხდომათ გადაიქცა.

შტაბი შეუდგა მსჯელობას: დაისაჯონ თუ არა სოციალისტური დელეგატები, რომლებმაც საქართველოში პირველ საქმეწივე თავი შეირცხვინეს. მე კი შეუშინებლათ გამოვედი ვარეთ. რა ვიცი საშიშია მეც მათ სიას არ მიმარცხონ. სიფთხილეს თავი არა სტკივა.


გ რ . ს ლ უ ზ ი ა ნ ი ნ ი .



ქართული დრამა

ეს რა შემოიღეს
ამ ქართულ დრამაში:
ღრ კვირას გრძელდება
პიესის თამაში.


რეჟისორები



ალ. წუწუნავა. ერთი, ორი, სამი, ოთხი!
ერთი, ორი! ერთი, ორი!
მე გახლავარ გუარდიელი,
თანაც— ორი დირექტორი!



ალ. აბმეტელი.
 აბა, დელი-დელია! —
 მოიმიან ხმანია!
 მოდის ახმეტელია —
 მოაქვს „ბერდო ხმანია“!
 ვაჟ, რა საქონელია!
 სეზონის „ლუსმანია“!



მ. ქორელი. (კოტეს არიის ხმაზე)

მიუფარს მუსიკა, მიუფარს დრამაცა!
 მიუფარს მხატვრობა... მაგრამ, დამაცა:
 როდის გვეღაროს ჩვენ, რეჟისორებს,
 შესუფერისი სმა და ჭმაცა!

რა იქნა ნიჭი?

გაზეთ „ბორბას“ საოპერო რეცენზენტი ბ. „ვ. ც.“ თავის უკანასკნელ რეცენზიაში ასეთი სიტყვებით აქებს „ლატის“ დეკორაციებს: „მხატვარ ზალცმანის უნიკო (безталантный) დეკორაციებს შემდეგ თვალი ისვენებს ამ ძველებურათ დაწერილ დეკორაციებზე“.

მხატვარ ზალცმანს ქომაგი და მოსარჩლე ეჯავრება და არც სჭირია. ამ როლს ჩვენც არ ვკისრულობთ. გვაინტერესებს მხოლოდ ერთი რამ:


როდის აქეთ გახდა „უნიკო“ ზალცმანის ნაწარმოები?

რამდენათაც ვიცით, მხატვარი ზალცმანი კარგა ხანს მუშაობდა ჩვენს საოპერო თეატრში და თუ არ ვცდები, დღემდე მის ბ. ვ. ც.-დან, რომელიც აგრეთვე კარგა ხანია რეცენზენტობს გაზ. „ბორბაში“, ასეთი სათაკილო განსჯა არ მიუღია.

რად მოხდა, რომ პატივცემულ რეცენზენტს არც ერთხელ კინტიც არ დაუძრავს ზალცმანის უნიკობაზე, როცა მისი დეკორაციები სცენაზე იდგმებოდა და მაშინ მოაგონდა ეს „უნიკობა“, როცა სხვა მხატვრის დეკორაციები დაინახა სცენაზე?

ამის მიზეზს ჩვენ მოგახსენებთ.

მხატვარი ზალცმანი ამ ერთი კვირის წინათ



აკაკი ფალავა. ქართული მსხიობები
 დურთმა დასწევდოს, ქრისტემა!
 ვეღარ გაგეს, არ იქნა,
 ჩემი მეთოდი, სისტემა!
 თათო ზიესს უნდება
 ორმოცი რეპეტაცია,
 წარმოდგენაზე გამოვლენ,
 ვინ სად დგას ადარ იციან!

ქართული დრამის კასასთან.

- ბილეთები არის?
- გახლავთ!
- მიბოძეთ. ორი ბილეთი... პლაცკარტებით!
- როგორ თუ პლაცკარტებით?
- დიახ, პლაცკარტებით! ზალიში არ არის საკირო: თანა მაქვს.

ვეროპაში **წავიდა.** სხვა აუცილებელ და განუყრელ თვისებებთან ერთად მან თან წაიღო თავისი ნიჭიც. ეს ჩვენ დანამდვილებით ვიცით: ჩვენის თვალით ვნახეთ, ჩემოდანის საიდუმლო კუნჭულში რომ დებდა, ბათომის საბაჟოში არ მინახონ და არ ჩამომართვან, როგორც გასატანათ აკრძალული საქონელიო.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია დიდხანს ემუდარა ზალცმანს, დასტოვე, ნუ მიგაქვს, ზოგ თბილისელ გაზეთის თანამშრომელთათვის გამოგვადგებო, მაგრამ ვერაფერს გახდა. მიინც თან წაიღო იმ ჯიუტმა!

ამისდაგვარათ, ზალცმანის დეკორაციების უნიკობა თითონ ზალცმანის საქართველოდან **წასვლით** აიხსნება.

მაგრამ ეხლავე დავამშვიდებთ ბ. რეცენზენტს: ხუთი თვის შემდეგ მხატვარი ზალცმანი ისევ თბილისს დაბრუნდება და უტყუარი ცნობა გვაქვს, რომ თავის ნიქსაც თან ჩამოიტანს. მაშინ ალბათ ბ. ვ. ც.-ს „ძველებურათ დაწერილ უნიკო დეკორაციებს შემდეგ“ ზალცმანის ნაწარმოებზე მოუხდება „თვალის დასვენება“

კონტრაპუნქტი.

სურათები ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან



დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, ესტუმრა თბილისს, თავის ბარჯი-ბარხნათ კოტე, შთელა სპი თვე, ამხანაგო-დან-ამხანაგთან დაწინააღმდეგ, თათხან უქონლობის გამო. ბოლოს როგორც იყო, იშოვა, მაგრამ ვაი ამისთანა შოვნის: კოტეს დასასვლამა არც მაგიდა მისცა, არც ტანტი, არც სკამი, არც ღამა და არც ფეხი (გაობობაზე სიმ შედგენია ღანაჩავი) შეექნა კოტეს 'სოკიერთი ნივთების ვიდე: „დეკორირზე“.



მოეწყო, მაგრამ მაგიდის მოვალეობის, ტანტი ასრულებს, სკამისას—ფეხი.



მეორე დღეს კოტე უნივერსიტეტში გაემგზავრა. დაუწყო განცხადებებს თვალყურება. აღმოჩნდა, რომ ერთი ლექცია იკითხება ანსტანის ქუჩაზე; მეორე სერბიკის ქუჩაზე, მესამე უნივერსიტეტში და მეოთხე და-

დი მთავრის ქუჩაზე. მიიღობინა ვერ ანსტანსიევის ქუჩაზე, დიდი ვაი-ვაგლახით მონახა სსსლი, მაგრამ ლექცია უკვე გათავებულყო, შემდეგ სერგოევის ქუჩაზე. აქაც ასე მოხდა; შემდეგ უნივერსიტეტში — აქაც ასევე დაემართა და ბოლოს დიდი მთავრის ქუჩაზე. აქ კი პროფესორს დაე-



კეტა ზუღატორთა და წაბრსნებულითა ავთშოფობის გამო. უკვე სპი სსსთის. კუჭმა თავისა მოითხოვა, კოტე გაემგზავრა სტუდენტთა სსსდალოში, ჩადა ვერ ერთ



რიგში, შემდეგ ზურის რიგში, შემდეგ მაგიდის რიგში და ბოლოს როგორც იყო სსსთის სსმს ეღირსა დაუდამს...



მაგრამ აქ კიდევ უფრო მეტი უბედურება დაემართა: საჭმელის დამრატებულმა ქაღმის ვერ მიაწია კოტემდის. — კოტემ ვეღარ მოითმინა და დაუწყო 1/2 ცირ. ზურის ციქქნა. მალე ზური გათავდა. შეექნა კოტეს „ბორში“ უზურთო დასაღევა.



საათს 7-ზე იყო უნაუერსიტეტო ზრექტიკული ვარჯიშთა, მაგრამ აქც შემდეგა განცხადება წაიკითხა: „გადაიღვა შემდეგი დღისთვის“.



დაბრუნდა კოტე სახლში, ს:ღამის 9 საათზე—სახ-ლი ვეღარ განათა ნათის უქონლობის გამო. შეაკლდა თა თავის „გახურებულ“ ფეხზე და და წეო თანება ამის შესახებ, თე როგორა ზატივისცემით და უურადღებთ ენერო-ბა ქართული დემოკრატიული საზოგადოება სწავლას და მოსწავლე სახლგაზღობას. (განსაკუთრებით სტუდენტებს).



ა მ ბ ა ვ ი

(ვისთვის საამო, ვისთვის საავღ).


მუშათა მორევში, რომელიც მუშათა კლუბის წინ არის გადაკიშული, (პლენანოვის პროსპექტზე) გუშინ ცხრა მოწინავე მუშა კინაღამ დამხრჩვალა.

კიდევ კარგი, რომ დროზე მოუსწრია გვარ-ღის მთავარ ექიმს ამხ. იოსებ ცინცაძეს, რომე-ლსაც ამავე ტბის პირად აქვს აგარაკი და პირველ დახმარების აღმოჩენით სიკვდილისაგან უხსნია მუ-შათა მოძრაობისათვის საჭირო პირები.

როგორც ვაგიგეთ „მუშათა მორევში“ მომ-ხდარ ინცინდენტის გამო, ქალაქ ს გამგეობას და-უდგენია: „აიკრძალოს მუშათა კლუბში“ მაგარი სასმელების ხმარება და ტბის ნაპირებზე დაიდგას

ფარნები და დაწესდეს მილიციონერთა და მენავე-თა სადარაჯოები. ტბაში კი ჩაიშვას რამოდენიმე ნაღი“.

ქალაქში აგრეთვე ხმა დადის, რომ „მუშათა ტბის“ ირგვლივ მომხდარ ინცინდენტში ჩარევას აპირებს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრა-ტიული ფრაქცია, რომელიც თითქო მოითხოვე-დეს ამ ტბის სრულ ამოშრობას. ამ ნიადაგზე ქა-ლაქის თვითმართელობასა და დამფუძნებელი კრე-ბის სოც. დემ. ფრაქციის შორის მოსალოდნელია კონფლიქტი და თუ ტბის ამოშრობა გადაწყდა სპირიდონ კელია დებეშას გაუგზავნის მუშათა კლუბს: „ჩვენმა ცდამ გაიმარჯვაო“.



გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ე ბ ი

რუსთაველის ჰროსპექტზე ნომერ ნ-ში გაიხსნა
ეკონომიკულ-კართული ტექნიკური, სავაჭრო და სამრეწველო
კ ა ნ ტ ო რ ა

„ეკონომიკური“

კანტორის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს აღმშენებლობის და მრეწველობის განვითარებას საქართველოში, კანტორას დამოკიდებულება აქვს გერმანიასთან და სულ მოკლე ხანში შეუძლიან მოწყობა წისკილების, სადგურების, ქარხნების და ყოველივე სამრეწველო წარმოების.

კანტორამ უკვე მიიღო გერმანიიდან სამეურნეო და სხვა ი რ ლები.

1-2

ყოველდღე ცნობილი გაქონს მოვაჭრეები

ა. ზ. ი. ბოსტოლანაშვილები

იგივე ბოსტოლანაშვილები

თბილისში, შტაბის ქუჩა № 6

გაეხსენით მაღაზია. ეპრობა ყოველნაირი საქონლით. გვაქვს საწყობები. ვიღებთ საქონლით გასასყიდათ ყოველ ნაირ საქონელს, როგორც წვრილათ ვგრეთვე ბიუჯეტით. სულ ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში ვიღებთ გასასყიდათ ხალიჩებს, ოქრო ვერცხლეულობასა და ყოველ ნაირ ძვირფას თელეულობას.

ყოველ ამნაირ მონდობილობას ჩვენი დამსახურებული ფირმა ასრულებს კარგათ და სვინდისიერათ.

ფ. დ. გოგელია

სამანუფაქტურა და სხვა

საქონლის გამყიდველი

კ ა ნ ტ ო რ ა

დამფ. კრების და ნიკოლაევის

ქუჩების კუთხე № 1

ჩრდილოეთის ნომრების პირდაპირ.

1-4.

ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი ა

„გაუშუკა“

წარმდგენის საგანი:

1. კბილის ზარაშკა „ეკონომიკური“
2. სამოჭარის მასი „ნრადა“
3. სანის ზუღრა.
4. დეკორატიული და ღუბი.

მ ო ი თ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ .

გაყიდვა: ყორღანოვის ქუჩა № 18, მეორე სართული, ბინა № 3. ტელ. 8-26. 3/2-საათიდან - 4/2-ს-მდე.

1-2.

კახეთის მემენახეთა ამხანაგობა

„სახალხო“

თბილისი, ქარვასლა თამამშევისა.

1-2.

სერგო-სიან ყველა!!!

ვისაცა სურს გემრიელი
 შექამანდი კარგი;
 (ჯიბის ამამატებელი
 კუჭისათვის მარგი)
 ვურჩევთ ნახოს „სიმართლემი“
 ჩვენი ძველი სერგო;
 (იმას ჩვენი გამოკვება
 განგებისგან ერგო)
 ტანადია ახოვანი
 რაქველური გვართოკ
 დახლის ახლო უყვარს დგომა
 სანოვავს ჯარით:
 ჩახოხბილი ინდაური
 მწვადი ცხელზე-ცხელი!
 გოჭი შეპიწკინებული
 თვალზე განახელი;
 მწვანილების ლურჯი მდელი
 ტურფა და ნარნარი.
 ცხელი ხარჩო, ცხელი ღომი
 თეთრად გადამდნარი.
 ღვინო გამაცოცხლებელი
 მრავალ გვარი ფირმის,
 (არ აკლია ერთი სიტყვით
 არცა ხორცი ირმის)
 აი სერგოს ანდამანტი
 თვისკენ მიმზიდველი;
 კუჭის გამახარებელი
 ჯიბის დამშუტველი—
 მაშ სერგოსკენ! იაფია!
 ნუ გაქვთ შურვა ბონის,
 იკოდეთ, რომ კარგი ჰამა
 მომცემია ღონის.

2-3

ლაგვის შუშები

ქუდივ მეტადლიურ ჩანჩდმი
 ყალბი დამზადება აგრძალულია
 მთავარი საწყობი (ბათუმად, ცალ-ცალკე)
 მთელი კავკასიისთვის არის
ნ. ლგოტაქის
 მალაზიაში
 მისამართი: თბილისი, ოფდსს ქუჩა № 3
 საჭიროა ყველგან გამყიდველები
 მინეები (ტლებისთვის და ხანარგო ავტო-
 მობილისათვის.

2-2

საუკეთესო ნივთი

სამახსოვროთ ანუ საჩუქრად

თავისთვის, მეგობრებისთვის, თანამოსამსახურეებისთვის, სე-
 ზოჯადო და პოლიტიკურ მოღვაწეთათვის, დღეობისთვის,
 ქორწინების დღისთვის ან და სამახსოვროდ საშუალო მოგო-
 ნებისა და სხვა. ეს არის **ნახატი** მწვენივრად და ხელო-
 ვნურად-გადიდებელი პატარა ფოტოგრაფიული სურათიდან
 გამოკვეთხვინეთ ჩვენ თქვენი ან იმ პირისა ვისგანაც გქონდეთ
 სამახსოვრო ფოტოგრაფიული ნახატი ფოსტით.
 ჩვენ გაცნობებთ რანაირიუფრო აჯობებს ნახატი და რაედირება
 შევასრულებთ დაჩქარებით და კარგად
 მისამართი: ქ. თბილისი, ვერის დიდნართი № 12
 სპორტრეტო სხელოვნო კალიტრაა
ბ. კ. პოვოროზნიკისა.

2-2

სასადილო „რატა“

თუ „სიმართლემ“ არის სადმე
 ეს აქ არის აქ — „რატაში“,
 (ვისაც „რატა“ არ სმენია
 ის ყოფილა ალბათ ქაში)
 ღვინოები აქ იკითხეთ
 იმერული თუ კახური;
 თავის ბედზე აღარ დაბდობს
 ჩვენი ღვინოთ შენახური.
 თუ კი სადმე გავაონილა
 ქათმები თუ ხორცი ცხვარის—
 გოჭი, მწვადი და საცივი —
 ეს სულყველა ჩვენთან არის!..
 ღომი ჩვენი ვინ არ იცის
 თუ გინდ ღვინოები ხარჩო!
 ნიადაგ დღე ჩვენთან დადის
 ხარჩოსათვის ჩვენი დარჩო.
 სულგვინი და ტყინტი ყველი
 „ზიარება არის სულის“
 ვინც მოვიდა და მიირთვა
 აღარა აქვს ჯავრი ფულის.
 მოდით, ნახეთ და დარწმუნდით
 ფულს ნუ ზოგავთ კი — ნურავინ.
 მაშინ შურცხვებს ჩვენი „რატა“
 თუ გავიშვით მომდურავი.

ჩაწერილი ბ. გ-ს მიერ.

1-2

დაბეჭდა და გამოვიდა გასულიდან კალენდრები:
 შედგენილი **მ. გარეჩილაძის** მიერ.

1921 წლ. ს.

კედლის კალენდარი.

უქმები დაბეჭდილია წითელი ხაღებავით,
 კარდენი ფერადია, ლიტოგრაფიული.

ჯიბის კალენდარი.

ქართველთათვის და ხდმესათათვის.


მოკრავი კალენდარი.

ქართულ-რუსული, უქმები დაბეჭდილია
 წითელი ხაღებავით.

თვიური კალენდარი.

დასურათებელი, ქართულ-რუსული, უქმები
 დაბეჭდილია წითელი ხაღებავით.

ს ა გ რ ა ნ ე ბ ე ლ ი .



საფრანგეთი. (ვრანგელის განაუგების შემდეგ) ამბობენ, ყველა გზას რომში მიჰყავსო... რუსეთზე ეს არ ითქმის... ნეტა რომელი გზით გავგზავნო?

„ეზუპაკის მატრასი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი ვეელებან 50 მან.

ქურონაღში დაიბეჭდება **გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი** შეღავათიან ფასებში. რედაქციაში შეიძლება შექმნა აგრეთვე დღემდე - გამოსული ნომრების. ხელის მომწერს ლეებდა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, რუსთაველის ზროს-ზექტი, № 24. ეშპაკის მატრასისათვის. რედაქცია და კანტორა ღიაა 9-2 საათამდე.